ავტორი:

ლევან ახვლედიანი

კონფუცი და მისი მოძღვრება

კონფუციანობა წარმოადგენს ეთიკურ-პოლიტიკურ მოძღვრებას, რომელიც ჩინეთში „სწავლულთა სკოლის“ სახელითაა ცნობილი. ეს მოძღვრება წარმოიშვა ძვ.წ. V საუკუნეში, როდესაც „ცისქვეშეთი“ (ასე ეძახდნენ ჩინელები ჩინეთს) პოლიტიკურ და სოციალურ კრიზისს განიცდიდა. ხანის დინასტიის დროს (ძვ. წ 206 წლიდან - ახ. წ. 220 - წლამდე) კონფუციანობა ჩინეთის ოფიციალურ მოძღვრებად გარდაიქმნა და ეს სტატუსი XX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა, სანამ მაო ძედუნის ინიციატივით მას კომუნისტური იდეოლოგია ჩაანაცვლებდა. ამ დროს კონფუციანობას აკრიტიკებდნენ როგორც მოძღვრებას, რომელიც თითქოსდა პროგრესის წინააღმდეგ გამოდიოდა. მხოლოდ 1970 -იანი წლების ბოლოს კონფუციანობა ისევ იწყებს აღორძინებას და დღეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთის სულიერ ცხოვრებაში.

ფორმალურად კონფუციანობა არ წარმოადგენს რელიგიას, რადგანაც მას არ აქვს ეკლესია როგორც ინსტიტუტი და მასში თითქმის არ არის საუბარი რწმენასა და ღმერთზე. თუმცა, საკუთარი მნიშვნელობითა და ხალხის ცნობიერების აღზრდის თვალსაზრისით, ის სრულყოფილად ასრულებს რელიგიის ფუნქციას.

კონფუციანობის დამაარსებელი კუნ-ფუ-ძი (ევროპულად კონფუცი) იყო. ის დაიბადა ძვ.წ. 551 წელს ლუს სამეფოში. კონფუცის მამა შულიან ჰე ცნობილი მეომარი და ძველი

არისტოკრატული გვარის წარმომადგენელი იყო. პირველი ქორწინებიდან მას ცხრა ქალიშვილი, ხოლო მეორე ქორწინებიდან ერთი ინვალიდი ვაჟი შეეძინა. მამა ძალიან განიცდიდა საკუთარ მდგომარეობას, რადგანაც მას გვარის ღირსეული გამგრძელებელი სჭირდებოდა. შულიან ჰემ 63 წლის ასაკში მესამე ცოლი მოიყვანა, რომელიც მასზე ბევრად უმცროსი იყო. მალე მათ ბიჭი გაუჩნდათ, თუმცა მამამ შვილის დაბადების გამო განცდილი ბედნიერებით დიდხანს ვერ იხარა - ის მალე გარდაიცვალა. პატარა კუნ-ფუ-ძი და დედამისი სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად, რადგანაც მამის პირველი ორი ცოლისგან შევიწროებულად იგრძნეს თავი.

ჯერ კიდევ პატარაობისას კონფუცი გამოირჩეოდა საკუთარი ინტელექტითა და შრომისმოყვარეობით. იმ დროს, როდესაც მისი ტოლები თამაშობდნენ, კუნ-ფუ-ძი ბრძენ და უხუცესს ხალხთან საუბრებით იყო გართული. 7 წლის ასაკში ის სკოლაში მიაბარეს, სადაც 6 უნარის ათვისება იყო აუცილებელი: რიტუალების შესრულება, მუსიკის მოსმენა, შვილდ-ისრის ხმარება, საბრძოლო ეტლის მართვა, წერა-კითხვა და ანგარიში.

კუნფუცის აღმოაჩნდა ფენომენალური ნიჭი კლასიკურ წიგნებში მოცემული ცოდნის ათვისებისა, რის გამოც მასზე ამბობდნენ: „მას არ ჰყავდა მასწავლებლები, მას ჰყავდა მხოლოდ მოსწავლეები“.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 17 წლის ასაკში, ის უკვე სახელმწიფო ჩინოვნიკად გვევლინება. მის ფუნქციებში სამეფოს ბეღლის მოვლა-პატრონობა შედიოდა. ამის გამო კონფუცი ამბობდა: „ნუ დარდობ იმაზე, რომ არ გიკავია მაღალი პოსტი, არამედ იფიქრე იმაზე, რომ პირნათლად ასრულებდე შენზე დაკისრებულ მოვალეობებს“.

25 წლის ასაკში კონფუცი ჩინეთის მთელმა კულტურულმა ელიტამ აღიარა, როგორც უდიდესი მოაზროვნე. მისი ცხოვრების ერთ-ერთ კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს ვიზიტი ჩინეთის იმპერატორის კარზე. ამ ვიზიტმა საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ ის არის მემკვიდრე და მცველი ძველი ტრადიციისა (ასეთნაირად თვლიდნენ მას სხვებიც). კუნფუციმ გადაწყვიტა დაეარსებინა სკოლა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ტრადიციულ სწავლებებზე, სადაც ადამიანი შეიმეცნებდა გარე სამყაროს, ადამიანს., რომელიც მაქსიმალურად გამოავლენდა საკუთარ შესაძლებლობებს. მას საკუთარი მოსწავლეები „სრულყოფილ ადამიანებად“ უნდა აღეზარდა, რომლებიც საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის სარგებლის მომტანნი იქნებოდნენ. ამიტომ ასწავლიდა ის განსხვავებულ დისციპლინებს, რომლებიც იმდროინდელ მკაცრ სამეცნიერო კანონებს ეყრდნობოდნენ. კონფუცი მკაცრი იყო საკუთარი მოსწავლეების

მიმართ: „ის ვინც არ სვამს კითხვას - რატომ? იმსახურებს იმას, რომ მე დავუსვა საკუთარ თავს შეკითხვა: რატომ უნდა ვასწავლო მე მას?“.

ამ დროისთვის კუნ-ფუ-ძიმ უკვე იმდენად გაითქვა სახელი, რომ ის სამეფო ლუს მართლმსაჯულების მინისტრად დანიშნეს. მან შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და იმგვარად კარგად წარმართა საქმე, რომ მეზობელ სამეფოებს შეეშინდა ამგვარი წარმატებისა, ამიტომ დაიწყო გაუთავებელი ინტრიგები მის წინააღმდეგ, რასაც პოსტის დატოვება მოჰყვა.

კონფუციმ დატოვა საკუთარი სამეფო და მთელ „ცისქვეშეთში“ დაიწყო მოგზაურობა. ის მოძღვრავდა როგორც სახელმწიფოების მმართველებსა და მაღალი თანამდებობის პირებს, ასევე უბრალო ადამიანებს. სადაც კი გაივლიდა ყველგან თხოვდნენ დარჩენას, თუმცა ის პასუხობდა: „ჩემი ვალია საკუთრი მოძღვრება ყველა ადამიანს ვუქადაგო, რადგანაც ის ვინც დედამიწაზე ცხოვრობს, ყველა ერთი დიდი ოჯახის წევრია. სწორედ ამ ოჯახის მიმართ მაქვს დამრიგებლის წმინდა მისია დაკისრებული“.

კუნ-ფუ-ძისთვის ცოდნა და სათნოება ერთიანი და განუყოფელია, ამიტომ ცხოვრება, მისი ფილოსოფიური შეხედულებების შესაბამისად, წარმოადგენდა კონფუციანური მოძღვრების განუყოფელ ნაწილს. კონფუცის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ტოლობის ნიშანი დავსვათ მის ცხოვრებასა და მოძღვრებას შორის.

კონფუცი გარდაიცვალა ძვ. წ. 479 წელს. ის დღემდე რჩება ჩინეთის სულიერი ისტორიის უდიდესს მოღვაწედ. მისმა ერთ-ერთმა თანამდროვემ თქვა: „ცისქვეშეთი დიდი ხანია ქაოსშია, მაგრამ ახლა ცამ გადაწყვიტა მასწავლებელი გამოფხიზლების ზარად ექცია“.

კონფუცის არ უყვარდა საკუთარ თავზე საუბარი და საკუთარი ცხოვრების გზა რამდენიმე სიტყვით გადმოგვცა:

„15 წლის ასაკში მე საკუთარი აზრები სწავლისკენ მივმართე.

30 წლისამ მე მივაღწიე დამოუკიდებლობას.

40 წლისამ მე შევძელი ორჭოფობისგან გათავისუფლება.

50 წლისამ მე შევიცანი ცის ნება.

60 წლისამ მე შევძელი სიმართლისა და ტყუილის გარჩევა

70 წლისა მე მივყევი საკუთარი გულის კარნახს და არ ვარღვევდი ღვთიურ წესებს“.

ლეგენდა გვაუწყებს, როდესაც სახელგანთქმული ფილოსოფოსი **ლაო-ძი** (ძვ.წ. VI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჩინელი ფილოსოფოსი, რომლის ვინაობა ზუსტად დადგენილი არ არის. თავად სიტყვა „ლაო-ძი“ ნიშნავს მოხუც ფილოსოფოსს, მასწავლებელს. ლაო-ძიმ კაცობრიობას დაუტოვა ფილოსოფიური თხზულება სახელად

„დაო დე ძინი“.

ამ თხზულებამ საფუძველი ჩაუყარა ჩინეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობას დაოსიზმს - (ვიკიპედია) ძალიან მოხუცებული იყო, ის მოინახულა ახალგაზრდა მამაკაცმა მეზობელი პროვინციიდან. ეს მამაკაცი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სწავლას მოახმარა, იმისთვის წარდგა ფილოსოფოსის წინაშე, რათა მისთვის რამდენიმე შეკითხვა დაესვა. როგორც ლაო-ძის, მასაც აწუხებდა შექმნილი ვითარება ჩინეთში. ახალგაზრდას ასევე სწამდა, რომ ცხოვრება ძველ დროში - „ოქროს ხანაში“ უკეთესი იყო და ქვეყანაც ყვაოდა. ეს ახალგაზრდა ადამიანი კუნ-ფუ-ძი იყო. კონფუცი ამგვარ დასკვნამდე იმის შემდეგ მივიდა, როდესაც შეისწავლა ძველი ჩინური ლიტერატურა და ფილოსოფია.

თავისი დროის ეს ორი ბრძენკაცი წუხდა ჩინეთში გამეფებულ სოციალურ და ზნეობრივ კრიზისზე. ამ გამოწვევას ლაო-ძიმ რადიკალური პასუხი გასცა: მისი დროის კანონები და ადათები მოძველდა და არაბუნებრივად გამოიყურებოდა, ამიტომ გამოსავალი მათი შესრულებისგან უარის თქმაში გამოიხატებოდა. კონფუცი კი, როგორც ნამდვილი კონსერვატორი ქადაგებდა, რომ აუცილებელია ყველაფერი კარგი, რაც შემორჩა წარსულიდან იყოს შენარჩუნებული და ახალი დროის შესაბამისად მოდიფიცირებული. სწორედ წარსული წარმოადგენს აწმყოსა და მომავლის გასაღებს. კონფუცი არ ცდილობდა შეექმნა ახალი რელიგია ან ეთიკური სისტემა.

მის წინაშე იგივე კითხვები დაისვა, რომლებიც მის წინამორბედ ლაო-ძის აწუხებდა: რა არის სიცოცხლე? როგორ უნდა ვიცხოვრო სრულფასოვნად? რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ

გავხდე ბედნიერი? ვინ ვარ მე? და სხვა. ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კონფუციმ მიმართა ბუნებას. მან შეამჩნია, რომ ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონიულადაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე მან დაასკვნა: ყველაფერი საუკეთესო, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს ამქვეყნად, ესაა მიჰყვეს ბუნებასა და მასში გამეფებულ ჰარმონიას. ასე რომ ჰარმონია როგორც ლაო-ძისთვის, ასევე კუნ-ფუ-ძისთვის იდეალს წარმოადგენდა.

მაშ, რაში მდგომარეობს განსხვავება ამ ორ ადამიანს შორის? პირველყოვლისა, ისინი აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნებები იყვნენ. ყოველ დასმულ პრობლემას, რომელსაც ისინი სვამდნენ, განსხვავებული მსოფლმხედველობის გამო სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ. იმ დროს, როდესაც ლაო-ძი ინდივიდუალიზმისკენ იხრებოდა, კონფუცი ფიქრობდა, რომ ადამიანის მთავარი მოვალეობა საზოგადოების წინაშე საკუთარი ვალდებულებების შესრულება წარმოადგენს. ასე, რომ ჰარმონია ადამიანისთვის ნიშნავს ჰარმონიას სხვა ადამიანებთან. ლაო-ძი ფიქრობდა, რომ ადამიანის მთავარი მოვალეობაა საკუთარი თავის შემეცნება, ხოლო მისი ოპონენტი ვარაუდობდა, რომ ადამიანის დანიშნულებაა ითანამშრომლოს სხვებთან და შეასრულოს ის მოთხოვნები, რომლებსაც საზოგადოება მის წინაშე აყენებს. როდესაც პიროვნება საკუთრ თავში ავითარებს ადამიანებთან ჰარმონიული დამოკიდებელების უნარს, ის შეძლებს ასევე შეიმეცნოს კოსმიური ჰარმონია. კონფუცი ხედავდა, რომ ყველა ადამიანი არ იქცეოდა ურთიერთდახმარებისა და ურთიერთთანამშრომლობის წესების თანახმად. მისი პრაქტიკული გონებისთვის ეს კი ნიშნავდა იმას, რომ საზოგადოება საჭიროებდა გარკვეულ წესებს. კონფუცი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველ ჩინურ ტრადიციას. მისი აზრით, არანაირ საჭიროებას არ წამოადგენდა ახალი წესებისა და კანონების დამატება. მისი ვალი იყო განევრცო და მომავალი თაობებისთვის გადაეცა ცოდნა ამ წესებისა და კანონების შესახებ.

კონფუცის აზრით, ყველა წეს-ჩვეულება და კანონი ადამიანის საჭიროებებიდან გამომდინარე იქმნება. ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება ქმნის პრობლემებს და სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად იქმნება წესები. იქ, სადაც ცხოვრობს ბევრი ადამიანი იქმნება ბევრი პრობლემაც, ხოლო იქ სადაც ხალხი ცოტაა პრობლემაც ნაკლებია. დიდი ქალაქის მმართველი ორგანოები ბევრად უფრო რთულია, ვიდრე - პატარა დასახლების ანალოგიური ორგანოები.

წეს-ჩვეულებები მით უფრო დიდად ფასობს, რაც უფრო კონკრეტულნი არიან ისინი. ადამიანები, რომლებიც ამჯობინებენ იცხოვრონ ორგანიზებულ სოციუმში, თავს უფრო მყუდროდ გრძნობენ, როდესაც არსებობენ გარკვეული წესები, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან სისტემას. ამიტომ, საუკუნეების განმავლობაში კონფუცის მიმდევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქცევის წესების მრავალრიცხოვან კრებულებს, რომლებშიც მაგალითად, დაწვრილებითაა აღწერილი როგორც მეგობრებს შორის ურთიერთობა, ასევე წინაპრების მიმართ თაყვანისცემის წესები. ამ კრებულებში საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა ჩაიცვას ადამიანმა ან როგორ უნდა ისაუბროს. როგორც ვხედავთ, კონფუციანობა ადამიანის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს.

იმისათვის, რომ საზოგადოებას კარგად გაეგოთ, თუ როგორ უნდა ეცხოვრა, კუნ-ფუ-ძიმ აღწერა „სრულყოფილი ადამიანი“. ამგვარ ადამიანს საკუთარ თავში უნდა გამოემუშავებინა ხუთი ზნეობრივი პოსტულატი. მათი გამომუშავება და დახვეწა იქამდე უნდა გაგრძელებულიყო, სანამ ისინი ადამიანისთვის ისეთივე ბუნებრივი გახდებოდნენ, როგორიც სუნთქვაა.

ჭეშმარიტი ურთიერთობები - ესაა პირველი იმ ხუთი სათნოებიდან, რომელიც „სრულყოფილი ადამიანს“ უნდა გააჩნდეს. ეს სათნოება სხვა ადამიანებთან ურთიერთობას გულისხმობს. კონფუცის აზრით, პიროვნება ვერ შეასრულებს საკუთარი თავის წინაშე დასმულ ამოცანას, იგულისხმება „სრულყოფილ ადამიანად“ გახდომა, სანამ სხვებთან თანხმობაში არ იცხოვრებს. ამგვარი თანხმობა ქცევაში გამოიხატება. ყველა ადამიანში ფარულად არსებობს მარცვალი ამგვარი ურთიერთობებისა, თუმცა აუცილებელია მათ აღმოცენებაზე ზრუნვა.

ჭეშმარიტი ქცევა „სრულყოფილი ადამიანის“ მეორე სათნოებას წარმოადგენს. კეთილშობილი გონების ადამიანი, რომელიც შეისწავლის ქცევის წესებს შეუძლია ისინი ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში გამოიყენოს. მან კარგად იცის ეტიკეტის ყველა წესი, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა მოეთხოვება ადამიანს ყოველ კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში. მან ასევე იცის ყველა რიტუალი, რომლებიც წინაპართა პატივის მიგებას გამოხატავს. „სრულყოფილმა ადამიანმა“ იცის როგორ დაჯდეს, როგორ ადგეს, როგორ ისაუბროს, როგორ იაროს, როგორ აკონტროლოს საკუთარი სახის მიმიკა ნებისმიერ სიტუაციაში და სხვა. თუმცა, ყველა ამ ქცევის წესების შესრულება ფუჭი იქნება, თუ ადამიანს ჭეშმარიტი ურთიერთობების დამყარება არ შეუძლია.

ჭეშმარიტი ცოდნა „სრულყოფილი ადამიანის“ მესამე მახასიათებელია. ამგვარი ადამიანი აუცილებლად განათლებული უნდა იყოს. კონფუციანელის მიზანი ნელ-ნელა ცოდნის შეძენაა, რომლის წესების დაუფლებაც ისეთ სრულყოფილებამდე უნდა მივიდეს, რომ ჩვევაში გადაიზარდოს. კონფუცის აზრით, ისტორიის, ლიტერატურის და სამოქალაქო სამართლის (ჩინური კლასიკა) ცოდნა ხელს უწყობს ადამიანს ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში. „სრულყოფილი ადამიანი“ ისე გეგმავს საკუთარ განათლებას, რომ მასში ყველა ამ დარგის შესწავლა შედიოდეს.

როდესაც კონ-ფუ-ძი განათლების მნიშვნელობაზე საუბრობდა, ის არ სთავაზობდა საზოგადოებას რაიმე ახალს. ის იმეორებდა იმას, რასაც ძველები ამბობდნენ. კონფუცის აზრით, საზოგადოებრივი წესრიგი ემყარება მორალის საფუძვლებს. ის ამბობდა, რომ მორალი უნდა გამოიყენებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი არსებობა მმართველობაში. ეს აიხსნება იმით, რომ მმართველები წარმოადგენენ ყველასთვის მასწავლებლებს. სწორედ ისინი უნდა წარმოადგენდნენ ზნეობრივ მაგალითებს და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი „ოქროს ხანის“ დადგომა, როდესაც ყველა ადამიანი ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი გახდება.

მეოთხე მახასიათებელი, რომელიც „სრულყოფილ ადამიანს“ უნდა გააჩნდეს სულის ჭეშმარიტი მდგომარეობაა. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ადამიანი საკუთარი თავის ერთგული და მოყვასისადმი გულმოწყალე უნდა იყოს. რასაც არ უნდა აკეთებდეს ასეთი პიროვნება, ყველაფერი ადამიანური ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ უნდა იყოს მიმართული.

ურყევობა „სრულყოფილი ადამიანისთვის“ დამახასიათებელი მეხუთე თვისებაა. მიაღწევს რა პირველ ოთხ მახასიათებელს, ის მთელი ცხოვრების განმავლობაში მათი ერთგული რჩება. „სრულყოფილი ადამიანი“ კეთილი და სხვებისთვის სასარგებლოა და კარგად იცის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

როგორც ჩვენ დავინახეთ, საჭიროა ადამიანმა გაიაროს მომზადების რთული კურსი. საჭიროა დახვეწოს საკუთარი ქცევა, თვისებები და აზროვნება. როდესაც ის მიაღწევს „სრულყოფილი ადამიანის“ დონეს, პიროვნება გახდება კეთილი, სულგრძელი და საზოგადოებისთვის სასარგებლო.

ზემოთ ჩამოთვლი ხუთ მახასიათებელს, კონფუციანელები უმატებდნენ ხუთი ტიპის ადამიანთაშორის ურთიერთობებს, რომლებსაც სკოლის ასაკიდან ასწავლიდნენ ბავშვებს. ეს ურთიერთობებია:

ცოლსა და ქმარს, მამასა და შვილს, უფროსსა და უმცროსს ძმას, ხელმძღვანელსა და ხელქვეითს და მეგობრებს შორის. კონფუციანელების აზრით, ადამიანის ურთიერთობების წრე შეზღუდულია, ამიტომ პიროვნებას არ შეუძლია ყველასთან ურთიერთობა. აი, სწორედ ამის გამოა საუბარი ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებს შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობებზე და არა ადამიანთა შორის საყოველთაო სიყვარულზე.

როგორც სტატიის დასაწყისში ვთქვით, დაახლოებით ორი ათასი წლის განმავლობაში კონუფიციანური იდეოლოგია ბატონობდა ჩინურ განათლებაში, მმართველობასა და კულტურაში. ოფიციალურად ის დასრულდა XX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ. თუმცა, ადამიანები ასე ადვილად ვერ ივიწყებენ ძველ ტრადიციებს და ამიტომ კუნ-ფუ-ძის მოძღვრება სიცოცხლეს მაინც აგრძელებდა. როდესაც მაო-ძედუნი გარდაიცვალა და ჩინურ საზოგადოებაში ეკონომიკური მოდერნაციის სიომ დაბერა, ახალმა იდეოლოგიამ ისევ კონფუციანობისკენ იბრუნა პირი.

კონფუცის აფორიზმები:

1. მას, ვისაც ყველაფერზე აქვს პასუხი, ჯერ ყველა კითხვა არ დაუსვამს;
2. ჭკვიანი კაცი საკუთარ თავში პოულობს იმას, რასაც სულელი სხვებში ეძებს;
3. მხოლოდ ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ბრიყვი ადამიანები არ იცვლებიან არასდროს;
4. ცხოვრება მარტივი იქნებოდა, ჩვენვე რომ არ ვართულებდეთ;
5. ადამიანი, რომელიც მთებს ძრავს, პატარა ქვებით იწყებს;
6. ყველაზე მხიარული ადამიანები ყველაზე სევდიანები არიან;
7. ადამიანი, რომელიც შეკითხვას სვამს, იმ წამს შეიძლება ბრიყვად მოგეჩვენოთ, მაგრამ ის ვინც არ სვამს, მთელი ცხოვრება ბრიყვია;
8. შეისწავლე წარსული, თუ გსურს, განსაზღვრო მომავალი;
9. როდესაც ხვდები, რომ მიზანს ვერ აღწევ, ნუ შეცვლი მიზნებს, შეცვალე ნაბიჯები;
10. კარგად მართულ ქვეყანაში სიღარიბე სირცხვილად ითვლება. ცუდად მართულ სახელმწიფოში კი სიმდიდრეა საძრახისი;
11. იმისათვის, რომ მსოფლიო წესრიგში მოიყვანოთ, საჭიროა, ქვეყანა მოაწესრიგოთ. ქვეყანა მწყობრში რომ ჩააყენოთ, საჭიროა, ოჯახებში იყო წესრიგი. ოჯახში რომ წესრიგი იყოს, საჭიროა, საკუთარ თავებს მივხედოთ, საკუთარ პიროვნულ განვითარებაზე ვიზრუნოთ - მივცეთ ჩვენს გულს სწორი მიმართულება;
12. იცოდე, რა იცი და იცოდე, რა არ იცი - ესაა ნამდვილი ცოდნა;
13. ღირსეული კაცი სიკეთეზე ფიქრობს, ჩვეულებრივი ადამიანი კი - კომფორტზე;
14. ადამიანს გონებისკენ სამი გზა აქვს: აზროვნება - ყველაზე კეთილი, მიბაძვა - ყველაზე ადვილი, გამოცდილება - ყველაზე ძნელი;

15. სწავლა ფიქრის გარეშე უშედეგოა, ფიქრი სწავლის გარეშე სახიფათო;
16. უჭკუო ჩივის, რომ ხალხი მას არ იცნობს, ბრძენი კი ჩივის, რომ იგი არ იცნობს ხალხს;
17. მე გავიგონე და დამავიწყდა, მე დავინახე და დამამახსოვრდა, მე გავაკეთე და გავიგე.
18. აირჩიე სამსახური, რომელიც სიამოვნებას განიჭებს და ცხოვრებაში ერთი დღეც კი არ მოგიწევთ მუშაობა;
19. ადრე ხალხი სწავლობდა, რათა სრულ-ეყო საკუთარი თავი; დღესდღეობით კი მხოლოდ იმისთვის სწავლობენ, რომ სხვებთან თავი მოიწონონ;
20. როგორ შევძლებთ გავიგოთ, რა არის სიკვდილი მაშინ, როცა ჯერ წარმოდგენაც კი არ გვაქვს, თუ რა არის სიცოცხლე?
21. ნუ იდარდებ იმაზე, რომ შენ არ გაქვს მაღალი ჩინი. იდარდე იმაზე, იმსახურებ თუ არა მაღალ ჩინს. ნუ შფოთავ იმის გამო, რომ შენ არ გიცნობს ხალხი. შეშფოთდი იმაზე, ხარ თუ არა ღირსი, რომ ისინი გიცნობდნენ;
22. საშინელება ის კი არ არის, რომ მოგატყუეს ან გაგქურდეს, საშინელება ისაა, რომ შენ ეს არ გავიწყდება.

შეკითხვები:

1. რას უწოდებდნენ ჩინელები ჩინეთს?
2. რომელი უნარების ათვისებას ასწავლიდნენ ჩინურ სკოლებში კონფუცის დროს?
3. რას ნიშნავდა გამოთქმა „მას არ ჰყავდა მასწავლებლები, მას ჰყავდა მხოლოდ მოსწავლეები“ კონფუცის დახასიათებისას?
4. რა მიზანი ჰქონდა კონფუცის დაარსებულ სკოლას?
5. რა გახდა კონფუცის მიერ სამეფო ლუს მართლმსაჯულების მინისტრის პოსტის დატოვების მიზეზი?
6. როგორ ხსნიდა თვით კონფუცი „ცისქვეშეთში“ თავის მოგზაურობის მიზანს?
7. რატომ შეიძლება დავსვათ ტოლობის ნიშანი მის ცხოვრებასა და მოძღვრებას შორის? იმსჯელე ამის შესახებ.
8. იმსჯელეთ კონფუცის ცხოვრების გზაზე, რომელიც თვითონ ჩამოაყალიბა?
9. რა რადიკალური განსხვავება და რა საერთო იყო ლაო ძისა და კონფუცის მოძღვრებებს შორის?
10. რა იყო კონფუცის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი?
11. კონფუცის აზრით, რა მიზანი აქვს წეს-ჩვეულებებისა და კანონების შექმნას კაცობრიობისთვის?
12. რატომ თვლიდა კონფუცი, რომ პოლიტიკა და მმართველობა აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს მორალს?
13. იმსჯელეთ კონფუცის „სრულყოფილი ადამიანის“ ხუთ პოსტულატზე.
14. კონფუცის ფილოსოფიის მიხედვით, ვისა და ვის ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი „სრულყოფილი ადამიანის“ ხუთ პოსტულატი? ახსენით რატომ?
15. იმსჯელეთ კონფუცის აფორიზმების შესახებ. გამართეთ დისკუსია.